აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 40

10 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

პარტიული სიისა და ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" და ,,ვ" ქვეპუნქტების, 49-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს პოლიტიკური გაერთიანების ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პარტიული სია და ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილი შემდეგი მაჟორიტარი კანდიდატები:

№79 ბათუმის საარჩევნო ოლქში - გოგოტიშვილი ზაზა;
№80 ქედის საარჩევნო ოლქში - არძენაძე რევაზი;
№81 ქობულეთის საარჩევნო ოლქში - ჭყონია ომარი;
№82 შუახევის საარჩევნო ოლქში - მჟავანაძე მიხეილი;
№83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში - ბოლქვაძე ვაჟა;
№84 ხულოს საარჩევნო ოლქში - ხოზრევანიძე ზურაბი.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.
3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე